ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 05 05 2020 წ.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 7

„საქართველოს ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის დისტანციურად განხორციელების წესში“ ცვლილების შეტანის შესახებ

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2020 წლის 04 მაისის №14 ბრძანების და ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მოქმედი წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 6 აპრილის №4 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის დისტანციურად განხორციელების წესში“ და წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. უნივერსიტეტში დისტანციური სწავლება ხორციელდება ონლაინ პლატფორმა Google meet-ის მეშვეობით. სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი ლექტორის შეხედულებით, სწავლება შეიძლება წარიმართოს სხვა ალტერნატიული პლატფორმის გამოყენებით, თუ Google meet პლატფორმა ვერ უზრუნველყოფს შესაბამის სასწავლო კომპონენტში სწავლებას“.

2. ბრძანება გასაცნობად და მათთვის განკუთვნილი ამოცანების შესასრულებლად დაეგზავნოს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს და თანამდებობის პირს.

3. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე ბრძანების განთავსება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე